

რედაქცია


გაზეთის რედაქცია ქუთაისში, ა. შ. მუსხიშვილის სახლში.

ხელის-მწერა

მოდება თუილისში, რედაქციის "გაზეთის" რედაქციისა, ქუთაისში, რედაქციის "გაზეთის" რედაქციისა.

„დროება“-ის მწერის უსანი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს. 2 თვეს. 1 თვეს. 1 კვირას. 1 კვირას.



გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათს ბარდს

უსანი განცხადებისა

დროებასთან დაკავშირებით გახდა ცნობილი, რომ...

გაღების ახანოები

ივანე შინაის-ძის შიროშაშვილის შვილებისა

(ადრე სახელმწიფო ახანოები რომ იყო, თთ. ბებუთოების ახანოების შემოდ, ახანოების ქუჩა)

22 ღვინობისთვის გაიხსნა ახლად განწყობილი ახანოები სხვა-და-სხვა ნომრებით ფასი ცალკე ნომრისა 80 კ. და 1 მან. საათში, საოჯახო ნომრისა—1 მან. 50 კ. საათში.

გამეგ ვაჭარები ქუთაისის გიმნაზიის დარბაზში მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების თანხმად...

მეურნეო სკოლებისათვის; ყველას შეუძლიან ამ წესდებით სოფლის სა-მეურნეო სკოლის გახსნა, მხოლოდ მეურნეობის დეპარტამენტის ნებართვით უნდა ითხოვას.

ბათუმის სკოლა.

ბათუმის, 29 ღვინობისთვის. დიდის ამბით, დიდის იმედებით გახსნა ჩვენმა „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ ბათუმის სკოლა.

და არა თუ მარტო იქაურებმა გამოაცხადეს თანაგრძობა და სიხარული ამ სკოლის შესახებ, თითქმის ყველა-განება გახსნილ ქართველებმაც.

განი ამღვრეული დასავლეთის და აღმოსავლეთის ეკლესიები. ამას ჩვენი „ქართლის-სხორება“ გვეუბნება: „ხოლო ითხოვეს იუსტიციისაგან ქართველთა, რათა დასდებოდნენ კათალიკოსად ნათესავნი ქართველთანი, რამეთუ მოვიდოდნენ კათალიკოზნი საბერძნეთით; ხოლო იუსტიციისაგან დასწერა წიგნი და დაბეჭდა თვისითა ბეჭდითა ესრედ, რათა დასდებოდნენ კათალიკოსად ნათესავნი ქართველთანი და აქედნით უარყოლობა ყოველთა ეკლესიათა და მღვდელთ-მთავართა ზედა“, 151 გვერდი.

სკოლის საშუალობით ჩვენ ველოდით, თუ შეიძლება ასე თამამად თქმა, ჩვენ ძველ მოძმეთ დაბრუნებას, უფრო მტკიცე, დაახლოებულ კავშირისა, დამოკიდებულების გამართვას; ველოდით, რომ ქართული სკოლა თავის გეარ-ტომობის თითქმის დიფიკულტ ხალხს, თავის მამა-პაპის გზიდან აცდნილს მოაგონებს თავის ეფნობასა, დაყენებს იმას სწორ გზაზედა და ამ ნაირად ერთ-დროინდელი ქართველი ხალხი მაჰმადიან საქართველოსა, რომელიც ახლა თავის-თავს თათარს უწოდებს, სხვათა შორის, ამ სკოლის დახმარებითაც გაიგებს ეინც არის, მიაგებს თავის ნამდვილ გეარტომობასა.

მიმოვრებთ: თუ ჩვენ და საზოგადოთ ყველანი ვისაც ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა ესმის, მომეტებულ ყურადღებას ვაქცევდით ბათუმის ქართულ სკოლას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სკოლას იმ მნიშვნელობას ვაძლევდით, როგორც ზევით მოვიხსენეთ. და ეს მაშინვე, სკოლას დაარსებისა-თანავე, იყო ჩვენს განთქმვამოცხადებული.

საუბედუროდ, დღეს ისეთი ამბები მოგვდის ბათუმის სკოლის შესახებ, რომ, არათუ ის დიდი და უაღრესი იმედები, არამედ მგონია, სულ მცირე და პატარა იმედიც უნდა მოვიკლათ გულში ამ სკოლის ნაყოფისა, თუ შემდეგშიაც ისე წავიდა იმის საქმე, როგორც დღემდინ მიდის.

მახსენისა-თანავე ამ სკოლაში ოცდაათამდინ მაგირდი მოგროვალა; ამათში მომეტებული ნაწილი, მართალია, ისევ ჩვენებურის ქართველების შვილები ყოფილან, ბათუმში დასახლებულ ჩინოფიციებისა და ვაჭარ-მე-

ღუქებისა, მაგრამ რამდენიმე ყმაწვილი ადგილობრივ მცხოვრებლებსაც, მაჰმადიან ქართველებსაც კი მიუბარებიათ. რადგან ბათუმის სკოლა, ჩვენი აზრით, საკუთრივ მაჰმადიან ქართველებისათვის უნდა ყოფილიყო გამართული, ამის გამო იმათ შვილების რიცხვის სიმცირემ, ცოტა არ იყო, დაგვფიქრა, მაგრამ იმ იმედით ვინუგეშებდით თავს, რომ ქართული სკოლა ჯერ ახალი საქმეა იქ, ხალხი განზე უყურებს, ვინ იცის, იქნება იმათ კიდევ ეშინიანთ, რომ, ამ სკოლის საშუალებით, ჩვენ ან გარუსება გვეწადს იმათი, ან ვაქრისტიანება, — მაგრამ ცოტ-ცოტათი შეჩვევიან, გაიცნობენ სკოლას, ნახვენ — რას და როგორ ასწავლიან ამაში და, უეჭველია, მეორე და მესამე წელიწადს ეს სკოლა სულ მაჰმადიან ქართველთა შვილებით აივსება-თქო ვფიქრობდით.

მაგრამ დახეო ბედის უკუღმართობას! რაც გვეგონა და რასაც მოველოდით, დღეს სულ იმის წინააღმდეგი ხდება:

მაჰმადიანი ქართველები არა თუ არ შეჩვივნენ ამ სკოლას, არა თუ თავის ნობა არ გამოუცხადეს, არა თუ იმათი შვილების რიცხვი არ გაზარდეს სკოლაში, არამედ, როდესაც წელს ენკენისთვის ბათუმში მთავრობამ გახსნა ნორმალური საქალაქო სასწავლებელი, ყველამ იქ გადაიყვანეს თურმე თავის შვილები და ეს ჩვენი ქართული სკოლა კი თითქმის დაცარიელდა, იმაში დარჩა მხოლოდ 14-15 ყმაწვილი, ისიც მარტო ჩვენებური ქართველებისა — გურულ-მეგრულ მღვდლებებისა.

ამ სამწუხარო გარემოების მიზეზს,

ტელეგრაფები

(გაზეთის რედაქციის სააგენტოსთვის)

პეტერბურში, 28 ღვინ. „ახალი დროება“ იწერება, სახელმწიფო რედაქციის წარდგინა შრეაქცია, რომლის ძალითაც მცირე მუშებს (14 წლის ნაკლებს) დღეში 8 საათზე მეტს არ უნდა ამუშავებდნენ ფაბრიკებზე და ქარხნებში. დამის კა 4 საათზე მეტის მუშაობა აგრეთვე აკრძალულია; აკრძალული უნდა იქნეს აგრეთვე განხილთ თარგმან წლის ნაკლების ყმაწვილის მუშაობა ფაბრიკებში.

გაზ. „ნოვოსტა“ დაბეჭდილად: მეურნეობის დეპარტამენტმა შეადგინა ნორმალური წესდება სოფლის სა-

„დროების“ ფელტონი, 30 ოქტომბ.

რად ვამდებოთ ჩვენს საგლედელოებას?

ჩვენ გვყავდა კათალიკოსები და მღვდლები; ერთი იყო წინამძღვარ-მმართველი მთელ სასულიეროთა და მეორე ერთიან ყოველ საქართველოს გრობისა, პოლიტიკურად; ესენი მეორისაგან რაერთიც დაშორებულ იყვნენ გარეგანის ფორმა-ცხოვრებითა, ისე შინაგანად გაუხსნელის კავშირით შერთებულ იყვნენ.

ჩვენ ვიცით ეკლესიის ცხოვრებადგან, რომ მიეკვსე საუკუნეში იუსტიციის კისარმა სხორვა შრამიზდასა სარწმუნოების დასაცველად საზოგადო კონდაკი და მიიღო კიდევაც, რომლით დამწვიდა მწველებელთა-

იყალიბებო, ანტონ მარტ-მყოფელი, იესე წილქელი, მათე სტეფან-შინდელი, შოა მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, აბიბოს ნეკრესელი, მიქელ შლუბკელი, პიროს ბრეტელი და ილია დიაკანი.

მაგნი რომ განითქვენ თვითოველ საუდაბნოდ სიწმიდითა, მრავალნი ქართველნი დემოწაუნენ ამათ, როგორც ღირსი ღოდო, ქემაგრე, ლუკანე, მლია და სხვანი, რომელთაგზა-კვალზედ აღდგენ შემდგომ მეცხრე საუკუნეში წმ. მამა ილარიონ მართველი, მეათე საუკუნეში წმ. მამა იოანე მამა ივთიმისა, მეთერთმეტე საუკ. წმ. მამა მეთიმე, წმ. მამა ბორგი მთაწმიდელი, იოანე პეტრიძე ფილოსოფოსი და სხვანიც, მეთორმეტე საუკუნეში გამოჩენილნი მამანი სიწმიდითა და მეცნიერებითა.

ამ ჩვენ წმ. მამების დროს, 1043 წ. დაჯდა რა პატრიარხად ძოსტანტინოპოლს მიქაელ ქერულარიო, განაახლა ფოტ-პატრიარხის წვალება და ვაჟყო ბერძნის ეკლესია რომის ეკლესიისაგან; ეს პატრიარხი პირველად სწურობდა ლათინის ზოგიერთ მღვდელთ, წვერ-ულვაშის მოპარსვისათვის: თითქოს წვერ-ულვაშზედ ჰქონიყოსთ სამღვდლო კურთხევა; მეორედ, მღვდლების ქვეყანაში შესვლელობისათვის, რომ უცოლონი არიანო; მესამედ, შაბათ დღეს მარხვას რად ინახვენო; მეოთხედ, დიდ-მარხვაში ხსნილს ერევიანო; მეხუთედ უპიროსტომო ხშილით სწირვენო, მხრჩვალს და უღანო ცხოველთ სკამენო და სხვაც ამისთანა უგუნურ და ბრიყვ ხალხთ ჰკუა გასაჭრელ რამეებს სწამებდა სიცრუით, რომლით აამღე-



სხვათა შორის, იმას ამბობენ, რომ მმართველობის სასწავლებელში უკეთესი ხოჯა (მაჰმადიანის რჯულის მასწავლებელი) დაიჭირეს და იმან გადაიბირა ყველა მაჰმადიან ქართველების შეილები ქართულ სკოლიდამაო. ახირებული მიზეზია! თუ ერთს მასწავლებელზე იყო საქმე დამოკიდებული, რატომ, თვითონ ეს ხოჯა თუ არა, სხვა ამისთანა კარგი ხოჯა არ მიიწვიეს ქართულ სკოლაშია, თუ კი ამით შეიძლება შეგირდების მოგროვება სკოლაში?

მაგრამ ჩვენ აქ ამ სკოლის დაცემის მიზეზის გამოკვლევას არ გამოუვლდებით. ჩვენთვის საკმაოა თვითონ ფაქტი: წერა-კითხვის საზოგადოებამ, თუ მასწავლებელმა ისე წაიყვანეს საქმე, რომ სკოლა დააცარიელეს, ვისთვისაც ეს სკოლა იყო დანიშნული, ისინი მიზიან იქიდან და სხვა სასწავლებელში შედიან სწავლის მისაღებად.

ამ სკოლის საქმის ასე ცუდად, ასე თავმინებებით და უთაგ-ბოლოდ წაყვანა „წერა-კითხვის საზოგადოების“ მხრით დიდ შეცდომად მიგვაჩნია.

ამბობენ, ხსენებული საზოგადოება სულაც ჰფიქრობს ამ სკოლის დაკეტასაო,—ეს კიდევ უარესი შეცდომა იქნება საზოგადოებისა. ბათუმში ქართული სკოლა აუცილებლად საჭიროა და იმის მოსპობა არაფერს უნდა იფიქროს. თუ რასმეზედ უნდათ, შეუძლიანთ ფიქრი, იმაზედ უნდა იფიქრონ, თუ როგორ წამოაყენონ ფეხზე ეს დაცემული სკოლა, როგორ მოაწყონ იქ საქმეები ისე, რომ ადვილობრივ მაჰმადიან ქართველებს ნდობა ჰქონდეთ ამ სკოლისა, რომ იმაში უფრო მომეტებული ხალხით აბარებდნენ თავიანთ შეილებსა, ვიდრე სხვა სასწავლებლებში, თუ როგორ მოახერხონ, რომ ამ სკოლამ თავის მაღალი მნიშვნელობა და მოვალეობა შეასრულოს და სხე.

ურია რომ თავის შეილს პირველად საეპროდ ისტუმრებსო, ღმერთს ევე-

ღრებაო: ღმერთო, წააგებინეო. ღრმა ზნეობითი აზრია ამ არაკომი: პირველად რომ კაცი ფეხს წამტვრევს რომელსაზე საქმეში, ჰკუთას ისწავლის, შემდეგში ასცილებდა იმ ქვას და უკეთესს გზაზე გაივლის. შევლა საქმის კაცებიც ასე იქცევიან; მხოლოდ ჩვენ არ ვგვეართ ამ შემთხვევაში სხვებს: ჩვენ რომ ერთხელ სადმე ფეხი წავკრათ რასმე, შემდეგში ხელგულს დავიკრებთ, ფეხს აღარ გადავდგამთ, სულ ვანებებთ თავს იმ საქმეს, რომლისკენაც მივიღტადით.

ნუ ვიქნებით ამისთანა სულ-მოკლე ამ შემთხვევაშია. ნუ დავკარგავთ იმედს ბათუმში კარგის ქართულის სკოლის გამართვისას. თუ სხვაგან საქართველოში გვაქვს კარგი სკოლები, რატომ იქ არ არის შესაძლო? მართალია, ბათუმის სკოლის მასწავლებელს ცოტა უფრო მომეტებული მოეთხოვება, ცოტა უფრო სხვა თვისება მოეთხოვება, იმის როლი ცოტათი ზნეობით მისიონერის როლს ემსგავსება, მაგრამ, თუ მოინდომებენ, თუ კარგად მოსძებნიან, ამისთანა მასწავლებელიც მოიძებნება...

ახალი ამბები.

ძავეკისის სამხედრო ოლქის სასამართლომ განიხილა ამ დღეებში ზემო-მაჭახელის მცხოვრებლების შეიდი კაცის საქმე, რომელთაც აბრალებდნენ, რომ ვითომც დასჭრეს მწყემსები, წაართვეს იმათ 143 მან. თოფი, სამი ხანჯალი, ქამარი, 567 ცხენი და 36 ძროხა.

მოწმებდა ამ საქმეში ორმოც კაცადინ იყვნენ მოწვეულნი.

სასამართლომ დალაგებით და წვრილად გამოიძია ეს საქმე და მოწმების ჩვენებიდან და სხვა გარემოებიდანაც ის დასკვნა გამოიყენა, რომ ეს დანაშაულობა ბრალდებულებისა არ არის დამტკიცებულიო. ამასვე ამტკიცებდნენ ბრალდებულთ დამცველი ბ. ბ. ნასიძე და პარწურნი. სამხედრო პროკურორის აზრიც ეს იყო, რომ

კრებანი შეჭრიბებს და დააწესეს, რათა მივიღებდეთ ცომასახედ ხორცთა ძრისტესთა, ხოლო პურისცომასა სახედ სულისა გონიერისა და მარისსა სახედ გონიერებისა, ხოლო ღვინოსათანა წყალსა ურთავთ სახედ სისხლისა და წყლისა, რამეთუ გარდმოხდა გვერდსა მხსნელისასა. ხოლო რომთა, ვინაიდგან ერთგზის იცნეს ღმერთი, არაოდეს მიღრეკილ არიან და არც არაოდეს წვალება შემოსრულ არს მათ შორის, ვითარცა მოციქულმან პეტრემან შესწირა უსისხლო იგი მსხვერპლი და უმეტესლა ვითარცა თვით უფალმან მისცა მოწაფეთა, ღამესა მას სერობისასა, ეგრედ აღასრულებენ იგინი და არა რაი არის მათ შორის განყოფილება (გის. ცს. აკრების 295—296 გვერდი).

ამ გვარის ქეშმარიტებით დაიცვეს ჩვენ წინაპართ წმ. მამათა ჩვენი ქვეყანა მშვიდობიანობაში მეთხუთმეტე

იმათი დანაშაულობა გამოიძებისა და საქმიდამ არა სჩანსო. ამის გამო სამხედრო სასამართლომ ყველა შეიდივე ბრალდებულნი გაამართლა.

* * *

ჩვენ მივიღეთ ბ. თფილისის ბელგაელ კონსულისაგან შემდეგი განცხადება, რომლის დაბეჭდვასაც გვთხოვს გაზეთში:

„მისმა დიდებულებამ ბელგის ძოროლმა, 14 დეკემბერს 1874 წ. გამოსცა ბრძანება, რომ ყოველ წლივ გაცემულ იქნას 25 ათასი ფრანკი გონებითი ნაწარმოების გასამზნეებლად.

პრემია, რომელიც უნდა გაიცეს მეორე ხალხთა შორის კონკურსისათვის 1885 წელს არის დანიშნული საუკეთესო თხზულებისთვის, რომელმაც უნდა გამოასახოს რა გარიღონისძიება უნდა იხმარონ, რომ გააგრძელონ გეოგრაფიის სწავლა და რაგვარად უნდა ასწავლონ სხვა და სხვა სასწავლებლებში.

უცხო ქვეყნელები, რომელნიც ისურვებენ საპრემია წიგნების წარმოდგენას ვალდებულნი არიან წარმოადგინონ თავიანთი თხზულება დაბეჭდილი ან ხელნაწერი 1 იანვრამდის 1885 წ. შინაურ სამინისტროში, ბრიუსელს.

თხზულება, რომელსაც შეხედება პრემია, უნდა იქნეს დაბეჭდილი პრემიის მიცემის შემდეგ წელში.

საპრემია თხზულების დაფასება მინდობილი ექნება ბელგის კოროლისგან ამორჩეულ კამისიას. ეს კამისია შესდგება შეილის წევრისაგან, სამი უნდა იქნეს ბელგიელი და ოთხი სხვა უცხო ქვეყნებისა.

* * *

შემდეგ წე ილის დაბეჭდვას გვთხოვენ გაზეთში.

ჩვენ ხცისის სოფლის მცხოვრებლებმა (ზორის მახრაში) ვისურვეთ ქვის ეკლესიის აშენება, რადგან ჩვენი ეკლესია ერთობ პატარაა და ხის შენობა, ისიც ძველი, ასე რომ ძლივს ეტევა შიგ ასი სული და ჩვენს სო-

ფელში სამასი კომლი გლუნა, რამოცი კომლი მხნაური და ერთი ცთავალი.

„ამ საქმის შესრულებისათვის, ურთიერთის თანხმობით აღმოვიჩინეთ ექვსი პირი და მივანდეთ მათ შემდეგი: ეანგარიშათ—რა მოუნდებოდა ეკლესიის აშენებას იმ ზომისას, რაც ჩვენ გვსურდა; შეეწერათ ეს ფულები შეძლებისა-და-გვარად, მცხოვრებლებზედ, შეეკრებათ ფულები თვითონ და აეშენებინათ ეკლესია.

პირველი მინდობილება აღასრულეს და შეკრბეს შეიდი-ათასი მანეთი; დაიწყეს ეკლესიის შენობაც, მაგრამ, ნახევარი კედლის აყვანის შემდგომ, გაჩერეს შენობა—ფულები არა გვაქვს, იმ ფულებმა არ იკმაჩრაო.

ხალხმა მოსთხოვა, ანგარიში გვიჩვენეთ, რაში დაიხარჯა ეს ფულებისო და თუ აღმოჩნდება, რომ ფულები სრულიად ამ შენობას მონდომები, მაშინ კიდევ შეგვაწერეთ, რისიც შეძლებისა ციქნებით და შემოვიტანთო. მაგრამ იმათი პასუხი ეს გახლავს: ჩვენ რადგან საზოგადოებამ სანდო პირებად გვიცნო და მოგვანდო, რაც შეგვეძლო, კიდევ შევასრულეთ ჩვენი მონდობილებო. ფულები შენობას არ ეყო ხელ-ანლა შემოგაწერთ და გაღიხადეთო, პირველ შეწერაზე შეგვცლით, გვეგონა—თუ ეს შეიდი ათასი ეყოფოდო, მაგრამ, რადგან არ ეყო, კიდევ შემოიტანეთო, ანგარიში რას ქვია, რომ გვთხოვთო? თუ სანდო არ ვიყავით, რისთვის ამოვიჩინეთო, და რადგან მაშინ გვიცანიდ სანდოთ, დღესაც გვენდეთ, რომ ფულები სწორედ შენობაზედ დაიხარჯაო, ჩვენ ჩვენთვის ხომ არ მოვიხმარდითო; თქვენ ამ ანგარიშის მოთხოვით ჩვენს პატიოსნებას ეხებითო და არას გზით ჩვენ ანგარიშს არ მოგცემთო და სხვანი.

აი ამ მიზეზისათვის ეს სამი წელიწადია ნახევრამდინ აშენებული ეკლესია მიტევებულია, ძველს ეკლესიაში

ცემული იყო, რომ არსად არ ჰქონდათ პირი და გავლენა, ერის კაცნი პირში უზრახნიდნენ: „მკურნალო, განიკურნე თავი შენიო.“ სხვა საქმეწლი ცდა, ღონე რომ არა ჰქონდათ რა, რა, გასცარცვეს ეკლესიები, გაჰფცქნეს ხატ-ჯვარნი, დასტოვს საბრალო ერი მგლების პირში და თვითან შეცივიდნენ შუა-გულს საქართველოში ენაპირ ჩაცვინულნი სწორედ ისე, როგორც ძრისტეს სახარება ბრძანებს: „ხოლო სასყილით დაღვინებულმან და რომელი არა არიან მწყემსი, რომლისა, არა არიედ ცხოვარნი თვისნი, იხილის რა მგელი მომავალი, დაუტევენს ცხოვარნი და იელტონ.“ (იეს. ი. 12.) რალა ეთქმოდათ? არ დაიფარა ეს მათი დაცემულება. შეთევან დედოფალი წამებით იდიდა; გარნა მისი მღვდელი მაჰმადის სარწმუნოებაზედ გადვიდა ურცხვად... ასე მოხდა მრავალგან. რამდენს ეხე-



ხალხი ვერ ეტყეა და მოკლებულია სანახევროდ წირვა-ლოცვას.

ჩვენი ხალხის ამბავი მოგვხსენებთ: ჩვენს გლეხებს სულში წასვლას და ჩვილს კიდევ ერთი იმოდენის გადახდა ურჩევნია. პუნაურობა ვინც არის, ისინი არ აწყენიან იმ პირებს, რადგან ზოგის მეგობრებია და ზოგის ნათესავი და ჩვენები, ჩვენ და საუბედუროდ, პირადი სარგებლობისათვის ანუ კერძო პირის პატივისცემისათვის საერთო, საზოგადო საქმეს არაფერს არ უგდებს.

„ამისათვის არ იქნება ურიგო, რომ ამ საქმეს სასულიერო წოდებამ მინც მიაკციოს ყურადღება და მოითხოვოს იმ პირებიდან, რა მიზეზისათვის არ აშენებენ ეკლესიას ან ანგარიშს არ იძლევიან?“

„დროების“ კორექტირება.

რაჭა, 20 აქტომბერი. წასრულს წელში დაწესდა თავადთა შიფანების მამულში, მახლობლად ბუგეულის ხილისა პირველი იარაღი რაჭაში.

ეს იარაღი, სამწუხაროდ, სასარგებლოდ არ აღმოჩნდა მცხოვრებლებისათვის და აგრეთვე მამულის მებატონეებისათვისცა; პირ-იქით ამის დაწესებამ წასრულს 1880 წელში ხალხს დიდი ზარალი მისცა: გაამრავლა საქონლის ჭირი, რომლითაც მცხოვრებლები დიდ ზარალში ჩაეზარდნენ; ადგილების მებატონეებმაც სარგებლობა ვერა ნახეს—რა და ამისთვის, როგორც გვესმის, უნდათ, რომ მომავალს წელს მათ მამულში იარაღი აღარ იქმნეს.

წელს იარაღი უარზანდელზედ მცირე იყო, ვაჭრობაც მცირედ იყო, ხალხი გროვდებოდნენ მხოლოდ მახლობელ სოფლებიდან, სხვა უეზიდგან მოსულ ხალხს ძვირად ვხედავდით.

დიდი სამღერავე ისმის მამულის მებატონეებისაგან აქაურს მახრის აღმინისტრაციასზედ: ამ მებატონეებისაგან ნება-მიუცემლად, დაიწყო კარგების

ქირისა და სხვა შემოსავლის კრეფა, ასე რომ მებატონეებმა არ იციან—რამდენი შემოსავალი აქეთა.

ჩვენის ჰაზრით, მოვალეობა პოლიციისა მხოლოდ ის უნდა იყოს, რომ დაიცვას იარაღიდან წესი, ესე იგი არ მოხდეს ქურდობა, მტაცებლობა, ჩხუბი და ვაი—ვაგლახი.

იარაღისათვის თ.თ. შიფანებმა დაამზადეს საჭირო კარგები, როგორც მანიჭატურის სავაჭროებისათვის, ეგრეთვე სამიკიტნოებისათვის, თითქმის ორასამდინ, მაგრამ, როგორც მოგვხსენებთ, ბატ. პოლიციის პრისტავს ჰანელიძეს მიუღია თავის თავზედ მიქირავება ღუქებისა მსურველთაღმი და ქირაც თვითონ მოუკრეფია, რომლისაგან შემდგარა 700 მანეთი და აგრეთვე გასიღულის საქონლის ბაჟიც შეადგენდა 300 მანეთს. იარაღის გათავების შემდეგ ბატ. პრისტავს ჰანელიძეს რაპორტით წარუდგენია უეზიდის უზრავლენი იარაღი ნახარჯულობაზედ გარდარჩენილი 200 მანეთი. მებატონეთ, თ.თ. შიფანებს, როგორც ზევით მოგახსენეთ, არც 1880 და არც ამა 1881 წლებისა ფული კაპიკიც არ მიუღიათ.

მაიხელო.

აბაშა, 20 აქტომბერი. „დროებაში“ (№ 210) წავიკითხე კორრესპონდენცია, სუჯუნიდამ გამოგზავნილი, რომელშიაც ეწერა, ვითომც იქ მოსულიყოს ამბავი, რომ კულაშელ ურიებს ქრისტიანის წვალება სდომებოდათ და იმ წამსვე ძველებური ბუკი დაკრეს და შუა-ღამეზედ 600-ზე მეტი ხალხი მოგროვდა; ამ ხალხში ის-მოდლა გაცხარებული ლაპარაკი ურიების შესახებ. მაგათი შებრალება როგორ იქნება, ავიკლოთო და სხვ. მე ამბავი ვითომც მახრის უფროსს შეეტყოს, ის საჩქაროდ მოსულიყოს და ყაზახი-რუსებით გაფანტოს ხალხი.

აი, ბატონო, რაში მდგომარეობდა საქმე:

როდესაც ხმა გამოვიდა, ვითომც კულაშელ ურიებს ქრისტიანის წვა-

წავიდეთო და მგონი დღესაც ესევე სამღერავე და საჩივარია უმრავლესთაგან!.. რაერთიც დრო გადის, წინ მივიდვართ, იმდენი უფრო უკან მიდის ჩვენი ბედის-წერა, გვეკარგება სიმხნე, გვიფუჭდება ენა და გვეცლებება ხელიდან მამა-პაპური ზნე-ხასიათი...

ტყვილად ვემღერებით ჩვენს ახლანდელ სასულიეროთა: რაც უსწავლიათ და რაც ღონის-ძიება აქვსთ დღეს ხელთა, იმითი გვეხმარებიან. ჯერ მოვეუგვაროდ მომეტებული ღონე, საშვალის, სწავლა-მეცნიერება ვარჯისში დაწინაურებისა, აღეზარდოთ ჩვენის გულისად და მერმე მოვსთხოვოთ ნაყოფი-სარგებლობა!

მსრეთი ყოველად-სასარგებლო კეთილი საქმე ჩვენმა მონასტრების უფროსმა არხიმანდრიტებმა უნდა ითავონ დაუდლაგის შრომა-ცდითა, და-არსონ სემინარია, მაღალი სასწავ-

ლება მოენდომებოდნენ და იმაზედ იქ ხალხი აღელვებული იყო და, როგორც ამბობენ, კიდევაც გაელახათ რაოდენიმე ურია, სუჯუნიელ ურიებს შიშით გული გაუსკდათ და აქაურ პრისტავს სთხოვეს, ჩვენ ნამდვილად გავგებულნი ვგაქვსო, რომ ქრისტიანებს თავზე დასხმა და აკლება უნდათ ჩვენი და დაგვიფარეთ; ბ. პრისტავმა, რადგანაც კარგად იცოდა აქაური ხალხის ხასიათი, ამ სიტყვებს თუმცა არ მისცა დიდი მნიშვნელობა, მაგრამ მინც ჩაეღია სუჯუნიში და იქ დადგა დროებით, არა თუ მისთვის, რომ დასტურ ეშინოდა არაფერი ამბავი მომხდარიყო ქრისტიანთ და ურიით შორის, არა, მისთვის უფრო, რომ ურიების თხოვნა აღესრულებინა და იმითი მათი გული დაემშვიდებინა.

ეს მართალია, რომ იმ დროებში ბ. მახრის უფროსი მობრძანდა სუჯუნიში, მაგრამ ამ საქმისთვის კი არა, არამედ იმ მამულების თაობაზედ იყო, რომელიც აქამდისინ საეკლესიოდ ითვლებოდა და ეხლა სახელმწიფოდ ჩაიწერა; ამ საქმეზედ ხალხი მეტის-მეტად შევიწროებული დარჩნენ რადგანაც, მოგვხსენებთ, სუჯუნი ძლიერ მჭიდროდ დასახლებული სოფელია და სულ ყველანი იმ ერთი ტყვიდან ირჩენდნენ თავს და ეხლა იმათ აღუკრძალეს არა თუ ჩვეულებისამებრ შეშისა და სხვა საქონლი ხეების მოჭრა, არამედ გზათაც გაელა იმ ტყეში. ამის თაობაზედ იყო საჩივარი და იმის გამოსაკვლევად მოვიდა მახრის უფროსი.

კორრესპონდენტი იწერება შუა-ღამეზედ ექვსას კაცამდინ იყო თავშეყრილიო და მახრის უფროსმა ყაზახი-რუსებით გაფანტა ეს ხალხიო. ეს სიზმარში თუ უნახავს ბ. კორრესპონდენტს, თორემ ცხადად როგორ ნახავდა, როდესაც ყაზახი-რუსი ერთიც არ ხლებია მახრის უფროსს; მხოლოდ ეს კი იყო, რომ მახრის უფროსის მოსვლაზედ, ჩვეულებისამებრ, შეიყარნენ მდღუქნეები და სხვა

ლოები, საერო სამღვდლოდ აღსაზრდელად; იმათ უნდა მისცენ ყოველი საქონლი სწავლა-მეცნიერება ქართულს ენაზედ; გარდა საღმრთო, საეკლესიო და სამოქალაქო ცხოვრებისა, უნდა ასწავლონ ღრამატიკა, მჭევრმეტყველება, ლოლიკა, გონებითი და ზნეობითი ღვთისმეტყველება, რომ შეეძლოსთ რიგიანი აღსრულება თავიანთ სამღვდლო თანამდებობისა, შთაგონონ ერსა სჯული, კანონი, რიგიან ქადაგება-დარიგებითა, გაუხსნან გონება, დააყენონ განათლების გზა-კვალზედა, ასწავლონ ნამდვილი ძმობლის სიყვარული და სამშობლო-მამულის მოვალეობა.

ამ გვარის მღვდლების საშვალეებით შეიძლება ჩვენი გვარ-ტომობის ხელ-ახლავ აღდგინება, თვარემ სხვებრ ან ძნელად მოხდება და ან სრულ შეუძლებელი იქმნება... ძრიელ გონიერული და კეთილი

ხალხნი და მაშინ მან დაარიგა ისინი, უთხრა, როგორც ისმის, კულაშელში სწამობენ ურიებს, ვითომც იმათ განეზრახათ ქრისტიანის წვალებაო და რაოდენიმე შემთხვევაც იყო, რომ ურიები გალახესო, თუმცა მე დარწმუნებული ვარო, რომ თქვენ, არა თუ იქ ურიების წინააღმდეგ რასმეს, არამედ არც განიზრახავთ და ისე ამხანაგურად იცხოვრებთ, როგორც დღემდინ გიცხოვრიათ, მაგრამ მინც საჭიროდ ვერცხ გამოვიცხადოთო, რათა ვინიცოდა ამოჩნდეს ვინმე თქვენში იმოდენა უგუნური და ეგ საქმე დასტურ დაიჯეროსო, ვითომც ურიებს მართლა განეზრახოს ქრისტიანის წვალება,—რომ ვინც ურიებს ჩხუბს აუტებს ანუ სხვა უწყსობას ჩაიდნეს, ის კაცი იქნება წინააღმდეგი კანონისა და სასტიკად დასჯებაო.

ასაშუალო.

რუსეთი

მარშალის გახეთში დაბეჭდილი ერთი განკარგულება, რომელიც მოუხდენიათ პოლშელ გლეხ-კაცობს შესახებ თამბაქოს წვეის მოსპობისა ახალ-გაზდობისათვის. ამ განკარგულებით, ყმაწვილს აღუკრძალება თვრამეტ წლამდის თამბაქოს წვეა და ვინც ამ გარდაწყვეტილებას დაარღვევს, იმისთვის როზგით დასჯა დადგენილი.

ბაზ. „ბაქოს მოამბეში“ იწერებოდნენ, რომ ძასიის მხრისაკენ რომ სამხედრო რკინის გზა გამართეს, ეს გზა კერძო პირებზე იყიდებო. ამბობენ, რომ ამ რკინის გზას ბ. პოლიაკოვი ჰყიდულობსო.

ზნების სამინისტროს ამ ქამად მიწერ-მოწერა აქვს გამართული შინანსთა სამინისტროსთან ახლის წესით გარდასახადის შემოღების შესახებ გზა-ტყევილებზედ.

როგორც ზნების სამინისტროს შეკ-

საქმე იქმნება, რომ ამისათვის საკუთარი წრე შესდგეს ყოველ მხარის მონასტრებთან მაღალ სასწავლოების დასაფუძნებლად. მსრეთი საქმე „წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წრეზედ უფრო მომეტებულ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ქვეყანასა. ღვთის წინაშე შეუძლებელი არა არის რა, ოღონც ერთმა-ორმან და სამან მიიწადინონ, ენერგიულად ხელი ახლონ საქმესა და ღმერთი შეეწვეათ უიჭველად, ისე გაურკვევსთ ყოველ გზა-კვალსა, დაურღვევს სიძნელესა და გააცლის წინ აღობილ ყოველ გვარ ფოლხ-დაბრკოლებათა, რომ თვითანაც ვერ შეიტყონ...

ვინმე შესი.

სიზახავა, 12 ღვინობ.

